მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2960.000
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 28 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1600-ზე მეტი ბავშვი. ბავა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 650 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ბავა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; 2. ბავა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექტიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; 3. ბავა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; 4. ბავა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; 5. ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; 6. ბავა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.
-----------------------------------	---

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 04 01 02</p>	<p>სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა</p>	<p>2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 1277.352</p>
--------------------------------	---------------------------------	--	---

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური</p>
---------------------------------------	--

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოფელ ქვაციხის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომელიც წარმოადგენს ორ წლიან პროექტს, სრული ღირებულება 419320.7 ლარი, მათ შორის: 2019 წლის თანხა 207000 ლარი და 2020 წლის თანხა 212320.70 ლარი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს როგორც სოფელ ქვაციხის, აგრეთვე მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმისაწვდომობაში. სოფელ ქვაციხის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია). საბავშვო ბაღების საპროექტო სამუშაოები (ხელშეკრულება გაფორმებულია): №6 ბაღის სრული რეაბილიტაცია; სოფელ მანდაეთის, სოფელ კაცხის, სოფელ ეწერის, სოფელ რგანის, №11 ბაღის სოფელ უსახელოს და სოფელ მღვიმევის საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია. ჭიათურაში კოსტავას ქუჩის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება N6 საბავშვო ბაღის განყოფილება, N9 საბავშვო ბაღის განყოფილება, N10 საბავშვო ბაღის განყოფილება, N11 საბავშვო ბაღის განყოფილება, სოფ. კაცხის საბავშვო ბაღის განყოფილება, სოფ. უსახელოს საბავშვო ბაღის განყოფილება, სოფ. სვერის საბავშვო ბაღის განყოფილება, სოფელ ზოდის საბავშვო ბაღის განყოფილება, სოფ. წირქვალის საბავშვო ბაღის განყოფილება, სოფ. ეწერის საბავშვო ბაღის განყოფილება, სოფ. მღვიმევის საბავშვო ბაღის განყოფილება, სოფ. ბერეთისის საბავშვო ბაღის განყოფილება, სოფ. წყალშავის საბავშვო ბაღის განყოფილება, სოფ. რგანის საბავშვო ბაღის განყოფილება, მომზადდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და განხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.</p>
--------------------------------------	---

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 04 03</p>	<p>ზოგადი განათლების ხელშეწყობა</p>	<p>2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 56.551</p>
--------------------------------	------------------------------	--	---

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური</p>
---------------------------------------	--

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 18.01.2019 წლის №13 განკარგულებით განხორციელდება ჭიათურაში №3 საჯარო სკოლის ეზოსა და შენობის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები 4950 ლარი.</p> <p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება 70714 ლარი საქართველოს მთავრობის 18.01.2019 წლის №13 განკარგულებით აგრეთვე დაეგმილია სოფელ ითხვისის I საჯარო სკოლის ეზოს და შენობის სრული სარეაბილიტაციო საპროექტო სამუშაოები. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.</p>
--------------------------------------	--

მუხლი 16.
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00

სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

05 01 სპორტის განვითარების ხელშეწყობა

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული დაწესებულებებისა და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01		1373.429

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
--------------------------------	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:</p> <p>ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა</p> <p>ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა</p> <p>ა(ა)იპ ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>ა) ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</p> <p>ბ) მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</p> <p>გ) მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p>
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		1297.000

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
--------------------------------	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:</p> <p>ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა</p> <p>ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა</p> <p>ა(ა)იპ ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>ა) ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</p> <p>ბ) მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</p> <p>გ) მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p>
-------------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		707.000

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა
--------------------------------	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის სხვადასხვა დარგის (ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს ძიუდოს, კრივის, მინი ფეხბურთის, ტაეკვანდოს, მძლეოსნობის, ცურვის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფარიკაობის, კლასიკური ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის და ჭადრაკის</p>
-------------------------------	---

	<p>სპორტულ წრეებს, საკუთარი შემოსავალი განისაზღვრება აბონომენტებიდან და ბილეთებიდან (საცურაო აუზი) რომლითაც ძირითადად ფინანსდება ოფისის, სამედიცინო და სხვა ხარჯი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსურ სპორტულ სკოლას, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.</p> <p>პროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზოზე</p>		
--	--	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 02		368.000

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს 160 სპორტსმენს და 10 მწვრთნელს; მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ რაგბის სპორტულ სკოლას, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მორაგბეებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.</p> <p>პროგრამის მიზანია რაგბის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზოზე</p>
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის განვითარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		222.000

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა, საიდანაც ხორციელდება სკოლის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, სხვადასხვა საფეხბურთო შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.</p> <p>პროგრამის მიზანია ფეხბურთის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა სხვადასხვა საფეხბურთო შეჯიბრებებში.</p>
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		76.429

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურაში ტოლსტოის ქუჩის საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია, (ხელშეკრულება გაფორმებულია). სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები, მათ შორის: სოფელ ზოდში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; სოფელ ნიგოზეთში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; საჭადრაკო კლუბის ოთახის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ტაბლის ქუჩაზე არსებული საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშეკრულება გაფორმებულია). ე.წ ორი ნომრის დასახლებაზე სპორტული მოედნის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ ბერეთისაში საჭიდაო დარბაზის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; გიორგაძის და ჭავჭავაძის ქუჩებზე მინი სპორტული მოედნის მოწყობის საპროექტო სამუშაოები. სოფელ უსახელოში და სოფელ ცხრუკვეთში სპორტული მოედნის აღდგენის საპროექტო სამუშაოები; გიორგაძის ქუჩაზე და სოფელ უსახელოში კალათბურთის მინი სპორტული მოედნის მოწყობის საპროექტო სამუშაოები. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.</p>
-------------------------------	---

კულტურის სფეროს განვითარება 05 02

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		2028.300

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი; ა(ა)იპ №1 და №2 მუსიკალური სკოლა, ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლა, ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა, (მოიცავს 16 ბიბლიოთეკას) და სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი თეატრი. დაფინანსდება რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობები, აგრეთვე განხორციელდება ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭერა და კულტურის სფეროს ღონისძიებების დაფინანსება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		1835.000

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი: ა(ა)იპ №1 და №2 მუსიკალური სკოლა, ა(ა)იპ სახვითი ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა (მოიცავს 16 ბიბლიოთეკას) და სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი თეატრი.
-------------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუსიკალური განათლების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		290.000

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სანდრო კავსაძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლა
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სანდრო კავსაძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლა. სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: კლასიკური და ხალხური მუსიკის პოპულარიზაცია, პროპაგანდა. მოზარდი თაობის ინტელექტუალურ მსმენლად ჩამოყალიბება, მოსწავლეთა საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა, შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. სუბსიდიით ფინანსდება სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ხარჯი. სკოლა აერთიანებს 360 მოსწავლეს, საიდანაც 88 მოსწავლე იხდის სწავლის საფასურს, რაც შეადგენს 15 ლარს თვეში. სოციალურად დაუცველია 80 მოსწავლე, ობოლი 12 მოსწავლე, დევნილი 5 მოსწავლე, მრავალშვილიანი ოჯახთა 35 მოსწავლე, ლაურეატი 62 მოსწავლე, ფოლკლორის 78 მოსწავლე.
-------------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუსიკალური განათლების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		210.000

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გივი თხელიძის სახელობის №2 სამუსიკო სკოლა
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გივი თხელიძის სახელობის №2 სამუსიკო სკოლა. მუსიკალური განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. სუბსიდიით ფინანსდება სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ხარჯი. სკოლა აერთიანებს 158 მოსწავლეს, საიდანაც 34 მოსწავლე იხდის სწავლის საფასურს, რაც შეადგენს 15 ლარს თვეში. სოციალურად დაუცველია 77 მოსწავლე, დევნილი 4 მოსწავლე, მრავალშვილიანი ოჯახების 9 მოსწავლე, ლაურეატი 64 მოსწავლე, ობოლი 4 მოსწავლე.
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახვითი ხელოვნების განვითარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		65.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლა
--------------------------------	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლა. სადაც სწავლობს 25 ბავშვი, რომელთაც ასწავლის 7 პედაგოგი. სახვითი ხელოვნების განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პრობების შექმნა; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მონაწილეობის მიღება კონკურსებსა და გამოფენებში.
-------------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო ქსელის ფუნქციონირება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		280.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა; ქვეპროგრამის მიზანია საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა დამუშავება, საკატალოგო მუშაობის წარმოება, საცნობარო ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო პროცესში ელექტრონული საცნობარო ბაზის შექმნა.
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრის ფუნქციონირება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 05		940.000

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი
--------------------------------	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი, რომლის მიზანია კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, თეატრალური ხელოვნების, საგუნდო და ფოლკლორული ანსამბლების განვითარება და პოპულარიზაცია და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. მასში ფუნქციონირებს სამი მუზეუმი: აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი სოფელ ცხრუკვეთში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ჭიათურაში და მთამსვლელ და-მმა ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმი სოფელ ხრეთში. სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი აერთიანებს 946 მოსწავლეს და 30 პედაგოგს. ზ. ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა - 256 მოსწავლე; ნ. ფიროსმანის სახ. სამხატვრო სკოლა „ნიკალა“ – 124 მოსწავლე ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილი სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა - 509 მოსწავლე გ. მოდებაძის სახელობის საბავშვო თეატრალური სტუდია „ცისკარა - 14 მოსწავლე სასწავლო სექტორი - 43 მოსწავლე (უფასო)
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დაფინანსება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 05		50,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
--------------------------------	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გრანტი მიეცემა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრს ფესტივალ იმერეთში მონაწილეობის საწევროს გადასახდელად თეატრის ფუნქციონირებისათვის მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		20.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ორგანიზებას; განხორციელებს სახალწლო ღონისძიებისა და სახალხო დღესასწაულის „ჭიათურობის“ დაფინანსებას.
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		73.300

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურაში კულტურის სახლის ეზოს რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები. ჭიათურაში ცენტრალური საბიბლიოთეკო ქსელის №6-ის განყოფილების (მდებარე ტაბიძის ქ. №12-ში) მოწყობის საპროექტო-სახარჯთადრიცხვო და სოფელ ცხრუკვეთში ბიბლიოთეკისა და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. ქორწინების სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		100.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკლესია მონასტრების მშენებლობისა და სხვა მიმდინარე საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 03		120.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <p>საქართველოს ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიული ძეგლების დასათვალისწინებლად ტრანსპორტით უზრუნველყოფა; ინტელექტუალურ-შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობა ტრანსპორტირება; სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა ტრანსპორტირება;</p> <p>ინტელექტუალურ-შემოქმედებით-შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა; დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში;</p> <p>წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელების, წარმატებული ახალგაზრდობის, წარმატებული პედაგოგების, რეგიონალურ და მუნიციპალურ ტურნირებზე მონაწილე გუნდების და სპორტსმენების დაჯილდოება;</p> <p>ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოება</p> <p>წარჩინებული სტუდენტების დაჯილდოება, ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება;</p> <p>სასკოლო სპორტული ოლიმპიადებში მონაწილეებისათვის სპორტული ფორმების შეძენა;</p> <p>პროექტ „ეტალონის“ დაფინანსება;</p>		

მუხლი 17.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება 06 01

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		140.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)კ ჭიათურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		

პროგრამის აღწერა	<p>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ ჭიათურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.</p> <p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:</p> <p>ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;</p> <p>ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;</p> <p>გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;</p> <p>დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი;</p> <p>ე) პროფილაქტიკური აკრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებლებისათვის;</p> <p>ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;</p> <p>თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა; მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი); 2. იმუნიზაცია; 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

პროგრამის დასახელება	კოდი 06 02 02	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდამჭერი პროგრამები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 35.0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში თანადაფინანსება გაეწევა საქართველოს წითელი ჯვრის ჭიათურის წარმომადგენლობას.		

სოციალური პროგრამები 06 02

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალმხრივი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება	კოდი 06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 885.2
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:</p> <p>ა) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება;</p> <p>ბ) პროგრამულ ჰემოდალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება;</p> <p>გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;</p> <p>დ) სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა ფინანსური დახმარება;</p>		

	ე) რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება; პროგრამის მიზანია ზემოთ აღნიშნული დაავადებების ფარგლებში ჭიათურის სოციალური დაფინანსების წესის შესახებ საკრებულოს დადგენილების გათვალისწინებით ბენეფიციართა მომართვიანობის დაკმაყოფილება.		
პროგრამის დასახელება	კოდი 06 02 01 01	სამკურნალო საოპერაციო და სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევების თანადაფინანსება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 581,7
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <p>ა) გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) ექიმის დანიშნულების მიხედვით სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევების, მათ შორის მაღალტექნოლოგიური კვლევის ხარჯები. ასევე დაფინანსდება იმ ექიმის სპეციალისტის კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია კონკრეტული ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური თუ მაღალტექნოლოგიური კვლევის განხორციელების პროცესში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით;</p> <p>გ) ამბულატორიულ ან/და სტაციონარულ დონეზე ჩასატარებელი გეგმიური სამედიცინო სამკურნალო/სარეაბილიტაციო პროცედურების ხარჯები, მხოლოდ ნერვ-კუნთოვანი დაზიანების მქონე პაციენტებისათვის 0-დან 14 წლამდე, ხოლო მოზრდილებისათვის მძიმე ფორმის შეძენილი ნერვ-კუნთოვანი დაავადების ან/და ტრავმის შედეგად განვითარებული ნერვ-კუნთოვანი დაზიანების შემთხვევაში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;</p> <p>დ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა, კერძოდ: ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;</p> <p>ე) მშობიარობის, გართულებული მშობიარობისა და სამედიცინო ჩვენებით საკეისრო კვეთის დამატებითი ხარჯი, რომელიც არ ანაზღაურდება მოქმედი სახელმწიფო და კერძო სამედიცინო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;</p> <p>ამ პუნქტებით განსაზღვრული დახმარების მიმღებია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქე. განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.</p>		
პროგრამის დასახელება	კოდი 06 02 01 02	პროგრამულ ჰემოდიალიზს დაქვემდებარებულ პირთა ყოველთვიური ფინანსური დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 45,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით განსაზღვრული ჰემოდიალიზისა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება, გაიცემა ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით თითოეულ ბენეფიციარზე. აღნიშნული დახმარებით სარგებლობენ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავე დროს ფაქტობრივად მცხოვრები პირები, რომლებიც დაავადებულნი არიან თირკმლის ტერმინალური უკმარისობით და წარმოადგენენ ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს.		
პროგრამის დასახელება	კოდი 06 02 01 03	მკვეთრად შზლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში 132,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა:</p> <p>ა) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის (პირველი ჯგუფის) მქონე პირებს, კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა სეზონის მიხედვით: 01 ნოემბრიდან 01 მაისამდე - ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით; 01 მაისიდან 01 ნოემბრამდე - ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით.</p> <p>ბ) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული</p>		

	შესაძლებლობის და 18 წლამდე ასაკის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად - 100 ლარის ოდენობით. განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.
--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 04		100,0

პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;
-----------------------------	---

პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით განსაზღვრულ სიცოცხლისათვის საშიშ და „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილების დანართი 17.2-ით განსაზღვრულ იშვიათი დაავადების მქონე მოქალაქეებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით, მხოლოდ დაავადების პირველი ტიპის მქონე პაციენტებს. განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.
----------------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ შეზღუდული სტატუსის მქონე პირთა პირთა დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 05		2,0

პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;
-----------------------------	---

პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, რადიაქტიური ნივთიერების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.
----------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	ომის ვეტერანთა დაკრძალვა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		5,0

პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;
-----------------------------	---

პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ავღანეთის ომის და მეორე მსოფლიო ომის მებრძოლთა დალუპვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა. თანხის ოდენობა შეადგენს 250 ლარს.
----------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	ბენეფიციართა უფასო სასადილოთი მომსახურება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		175,0

პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;
-----------------------------	---

პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი, ფიზიკური ან/და გონებრივი შეზღუდვის მქონე პირების და მარტოხელა პირების (რომელთა ყოველთვიური შემოსავალი სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია და რომელსაც არ აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სოფლის შინამეურნეობისაგან შემოსავალი) კვებით უზრუნველყოფა. მომსახურება გაეწევა 160-მდე ბენეფიციარს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს მომსახურება გაეწევა ტენდერში გამარჯვებული პირის მიერ.
----------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის სოციალური დაცვა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		53,8

პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;
-----------------------------	---

პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება: ა) ხარდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება; ბ) დევნილთა სოციალური დაცვა; გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დალუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება; დ) მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
----------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	ხანდაზმულთა ერთჯერადი სოციალური დაცვა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	---------------------------------------	----------------------------------

დასახელება	06 02 04 01		14,5
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ხანდაზმულებს (95 წელი და ზევით) ერთჯერადად წელიწადში 500 ლარის ოდენობით.		

პროგრამის დასახელება	კოდი	დევნილთა სოციალური დაცვა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04 02		11,3
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაეწევა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დევნილებს. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 100 ლარს. განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04 03		6,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა ჭიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს, დახმარება გაიცემა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 200 ლარს.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მარჩენლდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04 04		22,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარჩენლდაკარგულ პირს (ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილს (შვილებს) 18 წლის ასაკის მიღწევამდე). დახმარება გაიცემა ერთჯერადად წლის განმავლობაში 100 ლარის ოდენობით.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		699,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება: ა) ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა; ბ) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა; გ) შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა; დ) მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება;		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05 01		113,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი სახის დახმარება:</p> <p>ა) პირველი შვილის დაბადებისას - 100 ლარი.</p> <p>ბ) მეორე შვილის დაბადებისას - 150 ლარი.</p> <p>გ) მესამე შვილის დაბადებისას - 200 ლარი.</p> <p>დ) მეოთხე შვილის დაბადებისას - 300 ლარი.</p> <p>ე) მეხუთე შვილის დაბადებისას - 350 ლარი.</p> <p>ვ) მეექვსე შვილის დაბადებისას - 500 ლარი.</p> <p>ზ) მეშვიდე შვილის დაბადებისას - 700 ლარი.</p> <p>თ) მერვე და შემდგომი შვილის დავადებისას - 1000 ლარი.</p> <p>ი) ტყუპების დაბადების შემთხვევაში დამატებით 500 ლარი.</p> <p>ამ პუნქტებით განსაზღვრული დახმარების მიმღებია ჭიათურის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები მოქალაქე.</p> <p>განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.</p>
----------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05 02		58,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი). გაიცემა ერთჯერადი დახმარება 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით, ხოლო ბავშვს, რომელიც აგრძელებს სწავლას უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში, დახმარების მიცემა გაუგრძელდება 22 წლამდე. განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05 03		183,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრებ შემდეგ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს:</p> <p>ა) შემოსავლის გარეშე მყოფ მარტოხელა მშობელს ან მეურვე/მზრუნველს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი (შვილები);</p> <p>ბ) შემოსავლის გარეშე მყოფ არასაპენსიო ასაკის მარტოხელა პირებს, რომელსაც არ ჰყავს მეუღლე და შვილები;</p> <p>გ) შემოსავლის გარეშე მყოფ უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი;</p> <p>დ) შემოსავლის გარეშე მყოფ, უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი ბავშვი (ბავშვები);</p> <p>ამ პუნქტებით განსაზღვრულ ბენეფიციარებს დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05 04		345,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე იმ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახებზე, რომელთა ბინის ტექნიკური მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელია და საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის. დახმარება გაიცემა საცხოვრებელი უზრუნველსაყოფად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე უნაღლო ანგარიშსწორებით, ყოველთვიურად დროებითი გამოსახლების დღიდან პრობლემის აღმოფხვრისათვის საჭირო შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების განხორციელებამდე, შემდეგი სახით:</p> <p>ა) ერთ და ორ სულიან ოჯახებზე - 100 ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) სამ და ოთხ სულიან ოჯახებზე - 150 ლარის ოდენობით;</p> <p>გ) ხუთ და მეტსულიან ოჯახებზე - 200 ლარის ოდენობით;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 318000 ლარი ფანცლასის ქ N13-ში მდებარე დაზიანებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მცხოვრებთათვის საკომპენსაციო თანხების გასაცემად.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		70,0

პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაიცემა სტიქიური მოვლენების და სხვა დაუძლეველი ძალის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, რომელსაც დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი ან/და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობა ან რომელმაც მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ხოლო მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვლილის ოჯახი. საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 5000 ლარს. დამხმარე შენობა-ნაგებობის შემთხვევაში დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 1000 ლარს. სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	ომის ვეტერანთა დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		65,0

პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება მიეცემა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს 500 ლარის ოდენობით. ავღანეთის ომის მონაწილეებს, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლებს დახმარება გაეწევათ ერთჯერადად თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 250 ლარს.

**თავი III.
ჭიათურის ბიუჯეტის ასიგნებები**

მუხლი 18. ბიუჯეტის ასიგნებები
ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით

org. kodი	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	16,569.0	3,480.0	13,089.0	34,724.336	11,221.662	23,502.674	29,508.174	5,806.447	23,701.727
	მომუშავეთა რიცხოვნობა	374.0	0.0	374.0	164.000	0.0	164.0	1,664.000	0.0	1,664.0
	ხარჯები	10,682.5	222.6	10,459.9	16,157.829	1,179.4	14,978.5	14,479.636	247.0	14,232.7
	შრომის ანაზღაურება საქონელი და მომსახურება ძირითადი კაპიტალის მომსახურება	2,138.9	90.6	2,048.3	2,236.488	90.1	2,146.4	2,056.700	100.0	1,956.7
	პროცენტი	685.3	24.1	661.3	1,638.548	957.5	681.1	1,369.683	37.0	1,332.7
	სუბსიდიები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	გრანტები	70.8	0.0	70.8	38.5	0.0	38.5	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	6,506.2	99.5	6,406.7	8,226.796	99.3	8,127.5	8,647.500	100.0	8,547.5
		50.6	0.0	50.6	65.196	0.0	65.2	50.000	0.0	50.0
		951.0	8.5	942.5	1,612.059	9.3	1,602.8	1,936.000	10.0	1,926.0

	ოფა									
	სხვა ხარჯები	279.8	0.0	279.8	2,340.242	23.2	2,317.0	419.753	0.0	419.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,886.5	3,257.3	2,629.1	18,528.107	10,042.3	8,485.8	14,951.754	5,559.5	9,392.3
	ძირითადი აქტივები	5,886.5	3,257.3	2,629.1	18,528.107	10,042.3	8,485.8	14,951.754	5,559.5	9,392.3
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	38.400	0.0	38.4	76.8	0.0	76.8
	საშინაო	0.0	0.0	0.0	38.400	0.0	38.4	76.8	0.0	76.8
